სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 10 (4514) • 10 ივნისი • 2015 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 80 თეთრი •

გილოცავთ სასწავლო წლის დამთავრებას!

„და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი“

გამოშვების სევდიანი სიხარული

ალბათ, არ არსებობს ადამიანი, პირველი მასწავლებელი რომ არ უყვარდეს და იგი განსაკუთრებული სითბოთი არ მოიხსენიოს. მისი ღვაწლი ხომ შეუფასებელია, ვინც სწავლის ხელოვნებას გვაზიარა და გზა დაგვილოცა მომავლისაკენ. პირველ მასწავლებელთან განშორების წუთები სევდანარევია. ამას განიცდის არამარტო ბავშვი, არამედ – პედაგოგიც. სწორედ, თავიანთ განცდებზე გვესაუბრებიან თბილისის 48-ე საჯარო სკოლის მე-4 პირველი და მე-4 მეორე კლასების ღვაწლმოსილი პედაგოგები: **ლეილა ვაშაკიძე** და **რუსუდან მელაძე**. უნდა აღვნიშნო, რომ 48-ე საჯარო სკოლა, დედაქალაქში ერთ-ერთი სანიმუშოა, დისციპლინით, სასწავლო პროცესის სწორად წარმართვით, რაც პედაგოგებთან ერთად სკოლის დირექტორის **ირმა ფუხაშვილის** დიდი დამსახურებაა.

* * *

რუსუდან მელაძე, თბილისის 48-ე საჯარო სკოლის IV 1 კლასის მასწავლებელი:

– სულ მალე, ჩემი მოსწავლეები ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავლენ და ეს ბავშვებისთვისაც და პედაგოგებისთვისაც მნიშვნელოვანი ფაქტია. ჩვენ ერთად, პირველი კლასიდან მოვდივართ და ეს ოთხი წელი, ნამდვილად არ არის ცოტა. ისინი ჩემთვის საკუთარი შვილებივით არიან, რომელთანაც ძალიან დიდი სითბო და სიყვარული მაკავშირებს. დაშორების განცდა ძნელია ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, მაგრამ მოდის კიდევ ახალი თაობა და ასე გრძელდება ეს პროცესი. ყველა ბავშვი განუმეორებლად საყვარელია თავისი სიცელქით და გონებრივი შესაძლებლობებით.

ოთხი წლის განმავლობაში, მათთვის არ დამიკლია არანაირი ყურადღება და სითბო. სასწავლო საგნებთან ერთად, ყოველთვის ვასწავლიდი მათ, რომ უნდა იყვნენ კეთილები, ტკბილები, მოსიყვარულენი, იცოდნენ ადამიანობის ფასი, ჰქონდეთ სიყვარულის უნარი, შეეძლოთ ერთმანეთის გვერდში დგომა და მიტევება... და თუ, ისინი კარგ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან, მაშინ ჩავთვლი, რომ ჩემი მიზანი მიღწეულია. თავდაპირველად, პირველ კლასში სულ 33 პატარა იყო, თუმცა, ამჟამად, 31 მოსწავლეა. ერთი ბავშვი არის ინკლუზიური, რომლის მიმართ მთელ კლასს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. კლასელებს ის ძალიან უყვართ, სულ ეხმარებიან, გვერდში უდგანან და ცდილობენ ჩართონ საგაკვეთილო პროცესში. კლასში, რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირი შესაძლებლობის არ არის. არიან სანიმუშო მოსწავლეები. მაგალითად, მათემატიკაში ნიჭიერებით გამოირჩევიან: **ლუკა თვაური**, **ნიკოლოზ კავლელიშვილი**, **გიგა წიკლაური**, **ლიზი-მარია ბუთხუზი**, **სალომე თამლიანი**. ზოგიერთი ბავშვი კი, სხვა საგნებში ამჟღავნებს თავის ნიჭს. არიან ისეთებიც, რომლებიც ზარმაცობენ, მაგრამ ჩემთვის ყველა ერთნაირად ძვირფასია. 25 წლის ვიყავი, როცა 48-ე სკოლაში დავიწყე მუშაობა და თითქმის 40 წელიწადია აქ ვმოღვაწეობ. სკოლა ჩემთვის საკუთარი სახლივითაა. ძალიან მიყვარს ბავშვები და გული სიამაყით მევსება, როცა ჩემი ყოფილი მოსწავლეები სხვადასხვა სფეროში წარმატებებს აღწევენ. ბევრი წარჩინებული მოწაფე მყავდა, რომელთანაც დღემდე მაქვს კონტაქტი. ბოლო ზარის დღეს, ბავშვები განსაკუთრებით დიდ სითბოს გამოხატავენ პირველი მასწავლებლის მიმართ, გვაგრძნობინებენ, რომ ვუყვარვართ და ვახსოვართ. მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა ბავშვისგან სითბოს და სიყვარულს გრძნობს.

ამჟამად, მე-4 კლასელებთან ერთად, სასწავლო პროცესის დამამთავრებელი ღონისძიებისთვის ვემზადებით, სადაც ბავშვები წაიკითხავენ ეროვნულ თემატიკაზე შექმნილ ლექსებს და სხვადასხვა ნაწარმოებებს. შესრულდება ქართული სიმღერები და ცეკვები. ასევე, ვგეგმავთ ქალაქგარეთ ექსკურსიაზე წასვლას. ვცდილობთ, მათთვის ეს მნიშვნელოვანი დღეები იყოს დასამახსოვრებელი და სასიამოვნოდ მოსაგონარი. მინდა ყველა ბავშვს წარმატება და ბედნიერი მომავალი ვუსურვო.

* * *

ლეილა ვაშაკიძე, თბილისის 48-ე საჯარო სკოლის, IV II კლასის პედაგოგი:

– ჩემი საყვარელი ბავშვები ამთავრებენ მე-4 კლასს. მათთან განშორება სასიხარულოც არის და სევდიანიც. ჩემი მერცხლები დაფრთიანდნენ და ახლა გამიფრინდებიან. თითოეული მოსწავლე შვილივით მიყვარს. მოსწავლე შვილივით თუ არ მიიღე, მიზანს ვერ მიაღწევ, შრომა პედაგოგისა უშედეგო და ამაო იქნება. ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს. 30 წელიწადია ამ საქმეს ვემსახურები, უკვე მერამდენე თაობა გავზარდე და ახლა მათ შვილიშვილებსაც ვზრდი. წლებმა ბევრი რამ მასწავლა და მომცა გამოცდილება. თუმცა, საკუთარი თავის მიმართ, ყოველთვის უკმაყოფილების გრძნობა მაქვს. ვფიქრობ, რაიმე ხომ არ დავაკელი პატარებს. თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. საკმაოდ მომთხოვნი ვარ და ბავშვების თვალებში ვკითხულობ, სწორად გაიგეს თუ არა გაკვეთილი. მეოთხე კლასს

რომ ამთავრებენ, თვალები მეცრემლება და განვიცდი. ბავშვები, რომლებიც აღვზარდე, კალმის დაჭერა და ქცევის წესები ვასწავლე, უკვე ჩემგან უნდა წავიდნენ...

ჩემი მეოთხე კლასელები სანიმუშონი არიან. სულ 30 ბავშვი მყავს და აქედან, 20 მოსწავლე გამოირჩევა კარგი აკადემიური მოსწრებით. ესენი არიან: **დათო ძიგუა**, **მათე მელექსიშვილი**, **თინა კახიძე**, **ნია ლაზიშვილი**, **ნინო მურჯიკნელი**, **დათო მაკალათია**, **ანა გობრონიძე**, **დალი ნაზარაშვილი**, **მარი ყოლბაია**, **მარი გეგელია**, **ანა ედიშერაშვილი** და სხვები.

ოთხი წლის მანძილზე, ბავშვებთან მუშაობისას, მართლაც ბევრი სასიამოვნო რამ მოხდა. იყო ლამაზი წუთები, საინტერესო გაკვეთილები, საუბრები, დისკუსიები, ფიქრი და დარდი, თეთრად გათენებული ღამეები. მშობლები კმაყოფილები არიან და ეს ძალიან მახარებს. კლასთან ჩავატარე არაერთი ღონისძიება, ბავშვებმა კარგად იციან მხატვრული ნაწარმოებები, ლექსები, ისტორიული გმირების ცხოვრება, საბავშვო ისტორია. ისტორიის ცოდნა მნიშვნელოვანია. ამ თემაზე ბევრჯერ ჩამიტარებია კლასთან გასვლითი გაკვეთილები, ექსკურსიები. ვთანამშრომლობ მშობლებთან და ერთობლივად ვაღწევთ წარმატებებს.

ამიტომაც არიან ისინი წარჩინებულები, მიღებული აქვთ სიგელები სხვადასხვა საგნებში. ჩემი მოსწავლეები: **დალი ნაზარიშვილი**, **ნინო მურჯიკნელი**, **თეონა კახიძე**, **ბექა ზალიაშვილი** და **ანა გობრონიძე**, სკოლა-ლიცეუმი „სხივის“, მეექვსე რესპულიკური ოლიმპიადის გამარჯვებულები არიან. მათ მიიღეს პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები. მოსწავლეების ასეთი წარმატებისთვის სამადლობელი წერილიც მივიღე, სადაც მომიხსენიებენ საუკეთესო მასწავლებელთა შორის.

ძალიან მეამაყება, რომ კარგი მოსწავლეები მყავს, მაგრამ განვიცდი, რომ მათ მალე უნდა გამოვეთხოვო. უთუოდ სასიამოვნო გაცილება უნდა მოვუწყო, ლამაზი დღეები ვაჩუქო. ჩვენ უკვე, ვიმყოფებოდით ექსკურსიაზე და ახლა ღონისძიებისთვის ვემზადებით. ბავშვები ჩემს დაწერილ სიმღერას შეასრულებენ. მინდა, რომ ეს დღე მათთვის დასამახსოვრებელი და სასიამოვნოდ მოსაგონებელი იყოს.

მზია გოგოძე

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: “საქპრესა” _ გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, “მაცნე” _ საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

შემდეგი ნომერი გამოვა 2015 წლის 30 სექტემბერს

წარმატება პრივილეგია კი არა, პასუხისმგებლობაა

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო ცენტრის სახელი კარგა ხანია გასცდა საქართველოს საზღვრებს. არ არის ლაპარაკი უკრაინაზე, ვისი მთავრობის ხელშეწყობითაც დაარსდა თავის დროზე ეს მნიშვნელოვანი სასწავლო ობიექტი. ეს იყო ათი წლის წინათ. რუსთავში, შევჩენკოს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფაქტიურად ნაგავსაყრელს რომ წარმოადგენდა, ახალგაზრდა ენთუზიასტმა კაცმა, პროფესიით პედაგოგმა და ჟურნალისტმა, მომცრო სასწავლო კორპუსი ააშენა და პროფესიული საშუალო ტიპის საგანმანათლებლო ობიექტი გახსა. ახლა აქ უკვე მცირე აკადემიური ქალაქია, ანუ ის იდეაა განხორციელებული, რაც დასაწყისშივე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ბატონ **გარი ჩაფიძეს**.

სასწავლებელი ყველა საფეხურით – საბავშვო ბაღი, სკოლა, კოლეჯი, უმაღლესი სასწავლებელი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, ოღონდ ქართული და უკრაინული ძალისხმევით.

აქ ყველაფერი ორი სახელმწიფოს ინტერესის დონეზეა გათვლილი და იმ პერსპექტივით კეთდება, ორივე სახელმწიფოს მომავალ თაობებს რომ გამოადგება ქვეყნების საშენებლად.

პირველ ეტაპზე სასწავლებელში კოლეჯი იყო 14 სტუდენტით და ორი ფაკულტეტით. ახლა აქ მინი ქალაქია სასწავლო კორპუსებით, აფთიაქით, პოლიკლინიკით, სამედიცინო პერსონალითა და ტექნიკის მთელი ბირთვით. ინტერნეტტელევიზია AcademTV-info, აკადემბანკი, სტამბა, რედაქცია, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მუზეუმი, კაფე-ბარი „სილაჟვარდე“, იურიდიული კლინიკა, დაცვის სამსახურისა და დაცვის სისტემის შემსწავლელი კაბინეტი, მიზანში სროლის სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, პანტომიმის თეატრი, სადისკუსიო კლუბი, სტუდენტთა ლიტერატურული თეატრი, ქორეოგრაფიული სტუდია, ბიბლიოთეკა ყველა საჭირო წიგნითა და მათივე ელექტრონული ვერსიებით, ბანკის ოპერატორთა, ფარმაცევტთა, ჟურნალისტთა გადამზადების კურსები, ასევე მასაჟის, კულინარიის, სტილისტის, მზარეულთა და მაგიდის დიზაინერთა მომზადების კურსები! მაღალ დონეზე ფუნქციონირებს უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული), ბუღალტერთა და აუდიტთა კურსები, ამუშავების პროცესშია სამედიცინო საწარმო „აკადემფარმი“, მალე გაიხსნება საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის.

...ადამიანი არასოდეს არის კმაყოფილი მიღწეულით, მეც ასე ვარ... მაგრამ სიამაყის უფლება ნამდვილად მაქვს ბევრი ჩემი თანამემამულისგან განსხვავებით, დიდძალი ქონება და შენობა-ნაგებობები ნულოვან აუქციონებზე ჩალის ფასად რომ შეიძინეს, მე – ყველაფერი ჩემით შევქმენი, აქ, დღეს რასაც ხედავთ, არაფერი დამხვედრია, ნაგვის მთები თვითმცლელებით გავზიდე, დავიწყე ერთი მომცრო კორპუსით და ახლა უკვე 17 კორპუსი ავაშენე. ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს. ეს ყველაფერი ჩვენი უწმიდესის, პატრიარქის ნაკურთხია და ღვთის შეწევნასაც ყველანი ვგრძნობთ... ამბობს ჩვენთან საუბარში აკადემიკოსი **გარი ჩაფიძე**, რომელმაც ამ ქალაქის მშენებლობის პარალელურად თავისი აქტიური პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობით პიროვნულადაც ბევრს მიაღწია. იგი უამრავი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციის საპატიო წევრია, არჩეულია უკრაინის საპატიო მოქალაქედ, მიღებული აქვს მთავრობის უმაღლესი ჯილდოები. მათ შორის „უკრაინის პატრიოტის“ საპატიო წოდებისა და ოქროს ვარსკვლავის ორდენი, თარგმნის და აქვეყნებს შრომებს, ლექსიკონებს, არის 70-მდე ლიტერატურული გამოცემის ავტორი...

და მაინც, თავის ყველაზე დიდ მიღწევად სთვლის იმას, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოზარდი თაობისათვის გახსნა პროფესიული სწავლების ცენტრები.

...რუსთავში უკვე დავასრულე აკადემიური ქალაქის მშენებლობა, ახლა რეგიონებში, სადაც ჩვენი ცენტრებია, იქ ვაპირებ ასეთივე კომპლექსების მშენებლობას. მე სიახლეების მაძიებელი ვარ და ჩემი მოქმედების ორიენტირი შენებასა და შექმნაზე გადის. ეს ყველაფერი ჩვენი მომავალი თაობებისთვის გაითვლება – დასძენს რექტორი.

დღეს ამ სასწავლებლებში, საქართველოს 19-ვე რაიონში შემდეგი ფაკულტეტებია: **კომპიუტერული ტექნოლოგიები**; **გიდი (ტურიზმი)**; **დაცვა-პატრულირება**; **კრიმინალისტი**; **ბანკის ოპერატორი**; **ბაგა-ბაღის აღმზრდელი**; **ექთნის თანაშემწე**; **ფარმაცევტის თანაშემწე**; **კბილის ტექნიკოსი**; **ვეტერინარი**.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის რექტორთან ერთად პედაგოგიური კოლექტივების ყველა წევრი ზრუნავს. წარმატების მთავარი საფუძველიც ეს არის, თუმცა ცნება წარმატება გონიერი და მიზანმიმართული რექტორის აზრით, პრივილეგია კი არა, უდიდესი პასუხისმგებლობაა. ეს სლოგანი დღეს სამოქმედოდაა ქცეული რუსთავის აკადემიურ ქალაქში, სადაც წარმატებით მუშაობენ პედაგოგები: **ზეინაბ ლამაზოშვილი**, **აკაკი რეხვიაშვილი**, **ქეთევან ცისკარაშვილი**, **ეთერ ზედელაშვილი**, **დარეჯან იმერლიშვილი**, **ნაზიბროლა კაპანაძე**, **მაკა სამხარაძე**, **დიანა სურგულაძე**, **ნათია გოგალაძე**, **ნინო ცხვედაძე**, **კობა მაისურაძე**, **ეკა აფციაური**, **ნანა ნოზაძე**, **როზა გულისბედაშვილი**, **ხათუნა ბაკურაძე**, **ირა ონიანი**, **თამარ თარიმანაშვილი**, **თამარ ოდიშელაშვილი**, **ელენე ქიბროწაშვილი**, **გულიკო კაკაურიძე**, **ლელა ვარსიმაშვილი**, **რომან თევზაძე**, **ხათუნა შიუკაშვილი**, **მაკა ხატიაშვილი**, **თამარ გოგოლაძე**, **ფიქრია დუნდუა**, **ირმა არჩვაძე**, **ნათელა ჭინჭარაშვილი**, ბაღის თანამშრომლები: **ნათია კუკავა**, **ლალი ასატურიანი**, **ფატმან ფაილოძე**, **თეონა მინდიაშვილი**, **ვახტანგ ჯაფარიძე**.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ რუსთავის სასწავლო ცენტრს საკუთარი დამხმარე მეურნეობა აქვს და იქედან შემოტანილი ნატურალური პროდუქტით იკვებებიან მოზარდები საბავშვო ბაღში. ცენტრს გააჩნია სატრანსპორტო სამსახური ტაქსის 24 საათიანი მომსახურებით.

უკრაინასთან კავშირები წლიდან წლამდე ინტენსიური ხდება, სასწავლო და შემოქმედებითი გაცვლითი პროგრამებით ორივე მხარე წელიწადში რამდენჯერმე სტუმრობს ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც აკადემიურ ქალაქში ნამდვილ დიდ თვითმფრინავში საბავშვო ბაღი გაიხსნა და ამ უპრეცედენტო ფაქტით ყველა გააკვირვა. ბატონმა **გარი ჩაფიძემ** გადაწყვიტა, ახლო მომავალში პირველად ამიერკავკასიაში, რუსთავის აკადემიურ ქალაქში გააკეთოს უკრაინაში რომ არის, ისეთი ე. წ. გალოკამერა ანუ მკვდარი ზღვის მარილების ხელოვნური ქვაბული, რომელსაც სამკურნალო სანატორიუმის დანიშნულება ექნება, განსაკუთრებით ენდოკრინული დაავადებების კვლევის და გამოჯანმრთელებისთვის, ასევე 200-მდე სხვა დაავადებისთვის, ამ დაწესებულების სახელი უკრაინული ანალოგის „ძზვანო ჩიკ“-ის ქართული „ზანზალაკები“ – იქნება და ბუნებრივია, მას ამ სასწავლებელში გაზრდილი კადრები მოემსახურებიან.

მოკლე საგაზეთო პუბლიკაციაში, ბუნებრივია, ოდნავადაც ვერ ამოვწურავთ სათქმელს იმ საგანმანათლებლო ინდუსტრიაზე, ბატონმა **გარი ჩაფიძემ** რომ ააწყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, სწორედ იმ პერიოდში ქვეყანას ბევრი რამ რომ უჭირდა, რაც იმის დასტურია, რომ მონდომებას, თუ გული გულობს ყველაფერი შეუძლია. დღეს სასწავლებელი დაჯილდოებულია საერთაშორისო საგანმანათლებლო ხარისხის ჯილდოებით და გავლილი აქვს ევროაკრედიტაცია. აქ მიღწეულს არასოდეს სჯერდებიან, რამეთუ იციან საქართველო ისეთი ქვეყანა იქნება, როგორი თაობებიც აღიზრდებიან მის სასწავლო-საგანმანათლებლო ობიექტებში.

ლია მარტაშვილი

ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 აკადემიური ქალაქი, ეწვიეთ ამ ახალი ტიპის სასწავლებელს

ახალი კრებულის პოეტიდან

ლია ბეჟანიშვილი ყველა ქართველი ბავშვისათვის ცნობილი პოეტია. მის საბავშვო, ლამაზ, საინტერესო ლექსებს ყველაზე კარგად მაინც რუსთაველები იცნობენ. პროფესიით ბიბლიოგრაფი, ათეული წლის განმავლობაში ღვთით ბოძებული ნიჭიერებით წერს ლექსებს პატარებისათვის – შემეცნებითს, ჭკუის სასწავლებელს, სხარტს, ადვილად დასამახსოვრებელს.

„ყველას მოგეფერებით“ – ლია ბეჟანიშვილის წლების წინ გამოცემული კრებულია, რომელიც მთელს საქართველოში გავრცელდა და სკოლამდელი დაწესებულებების თაროებზე თუ ოჯახებში დაიდო ბინა.

„წერო პატარებისათვის, უფრო რთულია, ვიდრე დიდებისათვის“, – ამ ცნობილ ჭეშმარიტებას, დღევანდელობაც ადასტურებს. დღეს საქართველოში საბავშვო პოეტები თითზე ჩამოსათვლელნი არიან. კომპიუტერით „დაავადებულ“ ჩვენს გოგო-ბიჭებს კი ნიგნით ძალდატანებითღა თუ დააინტერესებს მშობელი ან პედაგოგი.

ლია ბეჟანიშვილის ლექსები გამორჩეულია. თითოეულს ლამის ერთი წაკითხვისთანავე სწავლობენ ბავშვები და ერთმანეთსაც ეჯიბრებიან ფორმითა და შინაარსით საინტერესო, ლაღი პოეტური სტრიქონების დაზეპირებაში.

სულ მალე ქართველი ბავშვები კიდევ ერთხელ გაიხარებენ ამ სათნო, საყვარელი და ნიჭიერი პოეტის ლექსების ახალი კრებულით.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს.

ლია მარტაშვილი

ტრაბახა

ორი დღის წინ მოიგო,
ჩვენმა ნიშამ ზაქი.
მე და ელისაბედმა
„შავთვალება“ დავარქვით.
კუნაპეტი შავია,
აბრიალებს თვალებს,
ყველა ნახავთ, ორ წელში
დააჩოქებს ხარებს.

მხიარული ბაჭია

წელს კარგად გავისარჯეთ,
უხარია ბაჭიას,
ხვალ ბიჭები კომბოსტოს
თავებს ძირში წასჭრიან.
სტაფილოც მოვიყვანეთ,
ბლომადა გვაქვს ჭარხალიც...
იზმორება ბაჭია,
სხვების ნაშრომს დაჰხარის.

ყოჩაღი ანდრია

ეს რა ბიჭი ყოფილა
თმაქოჩორა ანდრია,
ბებოს დაძახებაზე
წამოხტება ადრიან.
ცივ წყალს მოუცუნცულებს,
დააპურებს ყვინჩილებს,
სადაც გინდა გაგზავნი,
ერთსაც არ დაიჩივლებს.

კეთილისმსურველი

მაბეზღარა არ გეგონო,
საყვარელო ლიანა,
დღეს სკოლაში შენმა ძმამ
ისევ დაიგვიანა.
ორიანიც მიიღო,
ვერ დათვალა ასამდე,
ვაშლიც ჩაახრამუნა
გაკვეთილის გასვლამდე.

ნამდვილი თოჯინა

დღეს ნამდვილი თოჯინა
მისახსოვრა ჯულიმ,
სიხარულით მაგიდას
თავდაყირა ვუვლი.
ჩემი ნაჭრის თოჯინა,
უსახური, უთმო,
ვისაც უნდა იშვილოს,
წაიყვანოს, ეუთმობ.

ბაჭია

ეშინია მგელის,
ყველა მხრიდან ელის,
ჩამოყარა ყურები,
მოკვდა გზისკენ ყურებით.
რატომა ვარ ნაზი?!
მოერია ბრაზი,
ნეტავ, ვიყო ლომი,
რომ მოვუგო ომი.

ჩხენოსანი

ჯოხის ცხენზე გადამჯდარა
თამქოჩორა ლევანი,
გაიხვითქა, თუმცა ფინიშთან
ვერ მიასწრო ვერავინ.

გულნაკლული დათუჩა

– მერამდენედ მეწვევნენ
ეს მგელი და მელია,
რა იყნოსეს ნეტავი,
გოჭის შეწვას ელიან?! –
ბურდღუნებდა თავისთვის
გულნაკლული დათუჩა,
ყველაფერი შესანსლეს,
არაფერი გადურჩათ.

ხეხილის ბაღი

მზის სხივებში ქანაობს
შავთვალება ქლიავი,
შუბლაწეულ ალუბალს
ქოჩორს ვარცხნის ნიავი.
ამაყად ტანგაშლილი,
გულზვიადი კეხურა,
თავს არავის უყადრებს,
გაჭიმულა მეფურად.

ფიროსმანი _ მესამეკლასელებთან

სასწავლო წლის ლამაზად დასრულებისთვის კარგახანია ემზადებოდნენ გარდაბნის პირველი საჯარო სკოლის მე-3 კლასელები. როგორც ყოველთვის, ახალგაზრდა ნოვატორმა პედაგოგმა **ნანა სამხარაძემ** კლასის სხვადასხვა ეთნოსის ბავშვებს საინტერესო თემა შესთავაზა მოსამზადებლად. „ჩემი თბილისი და ფიროსმანი“ – რაც არა მხოლოდ მარტივი დაზეპირების ან შესწავლის საგნად იქცა მე-3 კლასელებისთვის, არამედ ყველამ გაითავისა, ჩაუღრმავდა, ბევრი რამ ისწავლა ამ გენიოსი ქართველის შესახებ და აკი, სულ რამდენიმე დღეში, საოცრებაც მოხდა: ფიროსმანმა და მისმა კიდევ ერთმა უნიკალურმა ნახატმა მილიონნახევარ დოლარად რომ შეიძინა ქართველმა **ბიძინა ივანიშვილმა**, ლამის მთელი მსოფლიო სამხატვრო ელიტა აალაპარაკა.

ამ ფაქტს თავის მოსწავლეებთან ერთად ახლა აანალიზებს პედაგოგი, მანამდე კი ღონისძიებაზე ყველაფერი ძალიან ემოციური და საინტერესო იყო. კლასის მოსწავლეებმა თეატრალურად აჩვენეს, თუ როგორ შეიქმნა ნახატები „ქალი ძროხასთან“, „მეთევზე“, „მარგარიტა“ და ა. შ. სიმღერები, ლექსები, თეატრალიზებული სცენები – ეს ყველაფერი შთამბეჭდავი იყო, რაშიც ნაწილობრივ მე-4, მე-6 და მე-7 კლასის მოსწავლეებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ამ შემეცნებითმა სანახაობრივმა ღონისძიებამ აშკარად აჩვენა აუდიტორიას, აზროვნების, მეტყველების, ურთიერთობების, მოსმენის, აუდიტორიასთან გამოსვლის რა დონეებს და უნარ-ჩვევებს ფლობენ მე-3 კლასელები, ბუნებრივია, წარმოჩინდა პედაგოგის კრეატიულობაც და პროფესიის უსაზღვრო სიყვარული.

ჩატარებული ღონისძიება შეაჯამა სკოლის დირექტორმა. ღონისძიებას მშობლები, სკოლის პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი **შალვა გურულიშვილი** და სკოლის დაწყებითი კლასების კათედრის გამგე **თეა კვარაცხელია** ესწრებოდნენ. ყველამ ერთსულოვნად აღნიშნა ღონისძიების სასწავლო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით აქტივობებში მოსწავლეთა თავდაჯერებული მონაწილეობის შესახებ და მადლობა გადაუხადეს პედაგოგს **ნანა სამხარაძეს** ამ მიღწევებისთვის.

ღონისძიება ქვემო ქართლის ტელევიზიამაც გააშუქა საინფორმაციო პროგრამაში.

დიანა სამხარაძე

გამჭვირვალობა

ვინც ბევრს ყბედობს გამჭვირვალობაზე, სწორედ ის არის ყველაზე გაუმჭვირვალე. იგი წარამარა გაიძახის: გამჭვირვალობა დემოკრატიის მონაპოვარიაო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ, მავანო, ისე გიცხონდა ცხვირი, შენ რომ ამას გულწრფელად ამბობდე. ეს დემაგოგიისთვის გჭირდება, თორემ შენ ხომ ის ხელმძღვანელი მუშაკი არა ხარ, რომელიც ყველაფერს უკუღმა აკეთებ? ვერ მომატყუებ. მე ოცდამეერთე საუკუნის მოსე მწერალი ვარ. **შენ ვერც მეცხრამეტე საუკუნის მოსე მწერალს მოატყუებ. შენ გაკვეთილებზე პედაგოგის სათვალთვალოდ საკლასო ოთახის კარებში მინები რომ ჩასვი, ამას გამჭვირვალობას ეძახი?**

მივმართოთ ფაქტებს: „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს განათლების მინისტრად (სხვა სფეროებს არ ვეხებით) ცეკას მდივანი **გურამ ენუქიძე** გადმოიყვანეს. თათბირზე ჟურნალისტები დაგვიბარა. შუა საუბარში რომ ვიყავით, თანაშემწე შემოვიდა: სვანეთიდან პედაგოგები არიან ჩამოსულიო.

ბატონმა გურამმა ბოდიში მოგვიხადა: პედაგოგების მიღება ხუთი საათიდან გვაქვს. იმ სიშორიდან, იქნებ რამე საჩქარო საქმეზე არიან ჩამოსული, ან დღესვე აპირებენ დაბრუნებას. ვეღარ ვალოდინებო.

მინისტრის კაბინეტი დავტოვეთ.

დღეს? დღეს სკოლის დირექტორს, თუ მისი მობილურის ნომერი არ იცი, სასაუბროდ ვერ მოიხელთებ. შეხვედრასა და მიღებას ვინ ჩივის?

აი, შაშკინის მიერ დამკვიდრებული მეთოდიკა: დარეკავ სკოლაში, მოხვდები კანცელარიაში. თითქმის არ არსებობს შანსი, პირდაპირ დირექტორთან გახვიდე. კანცელარიის მოხელე ე. ი. საქმეთამმართველი გამომძიებელივით დაადგენს შენს ვინაობას. დირექტორს, თუნდაც იქვე იჯდეს, გუნებაში თუ არ მოუხვედი, თანაშემწეს ათქმევინებს: წასულია სამინისტროში, რესურსცენტრში, ან სადმე შეხვედრაზეა. მობილურის ნომერს თხოვ? ვინ მოგცემს: აკრძალული გვაქვსო. **ვინ აკრძალა? იმ ხელმძღვანელმა პირმა, რომელიც ყველაზე ბევრს ლაყბობს გამჭვირვალობაზე.**

დირექტორის გაუფრთხილებლად მიხვედი სკოლაში? იგივე პროცედურები უნდა გაიარო, ორი ბარიერის დამატებით: პირველი გამომძიებელი შესასვლელის დარაჯია, მეორე – მანდატური. დავუშვათ, ვერცერთმა შეგამჩნია, ისე გაძვერი კანცელარიაში, იქაც გეტყვიან, დირექტორი არ არისო. კიდევ დავუშვათ და... დირექტორი „გამოიჭირე“. თვალში თუ არ მოუხვედი, დიდ ღონისძიებაზე გავრბივარო., – გეტყვის და უყარე კაკალი. **ასეთ მოჯადოებულ წრეში ტრიალებს ჩვენი „გამჭვირვალობა“.**

ბოლოს და ბოლოს, სკოლის დირექტორი რა იმხელა უშველებელ-უზარმაზარი პიროვნებაა, რომ მასთან დაკავშირება არ შეიძლებოდეს?

მოსე მწერალი

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,

გზა დაგელოცოთ, 115-ე ბაგა-ბაღლებო!

კომფორტული დასვენება თქვენი თანამგზავრია

ამაზე ბრწყინვალე, მასშტაბური ბავშვთა სამყარო თბილისში მეორე არ მეგულება. 115-ე ბაგა-ბაღს იმხელა ეზო აქვს, ცხენი გაჭენდება. რა არის იმ ეზოში? რა და: მომხიბლავი ეგზოტიკა, ნაძვნარის სიხშირე. „და იმის მზიან ჩრდილებში მუდამ გაზაფხული არის“. და იმის მზიან ჩრდილებში ჩამწკრივებულია: კარუსელები, სასრიალოები, „აიწონა-დაიწონა“, სხვა სპორტული სათამაშოები. რომ ვესტუმრეთ, დიდი ჟრიამული იდგა. ბატკნებივით დაკუნტრუშებდნენ ცეროდენები ბუნების სუფთა წიაღში. სათამაშოდ გამოსული სამწლიანი ცუგრუმელები, დამწკრივებულნი, როგორც ბჟიტები კრუხს, ისე მისდევდნენ თავიანთ აღმზრდელ-პედაგოგს, სადილობის ჟამი იდგა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

ახლა შიგნით ვეწვიოთ ბაგა-ბაღს. „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა!“ ნამდვილად ბავშვთა ჯადოსნური სამყაროა, ყველაფერი ისეთია, რაც პატარებს თავს მშობლიურ გარემოში, დედობრივ ალერში აგრძნობინებს. ყველგან სისუფთავე სუფევს. ყველგან თოჯინები იცინიან. აი სტენდები, ბავშვთა შემოქმედების ნიმუშები: ნახატები, ნაძერწები, აპლიკაცია... აქ ტრადიციად დამკვიდრდა ნორჩებში ხელოვნებისადმი სიყვარულით გატაცება, ნიჭიერთა დაკვალიანება. სწორედ ამიტომ არის საერთაშორისო ბავშვთა ფესტივალებში, 1 ივნისის თუ სხვა ზეიმებში, ტელეგადაცემებში მონაწილე გამარჯვებულთა რეკორდული რაოდენობა. სერთიფიკატების, დიპლომების, სხვა ჯილდოების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!“

დღევანდელ ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რადგანაც იგი ყოველმხრივ მოწესრიგებულია. კონტრასტისთვის ხუთი წლის წინანდელი ვითარება მინდა გავიხსენო. დიახ, ხუთი წლის წინათ ვსტუმრობდი აქაურობას. ცა და დედამიწა, ისეთი სხვაობაა დღეს. მაშინ მიმდინარეობდა გახურებული სარემონტო სამუშაოები. ბევრი რამ იყო კეთილმოუწყობელი, უსარგებლო ხეები მოჭრეს. იგი ყვავილნარმა და სასარგებლო ხეხილნარმა შეცვალა. შორს რაღა წავიდეთ, ახლახან თბილისის მერის **დავით ნარმანიას** ინიციატივით წარმოებული **„მწვანე აქციის“** საპასუხოდ ბაღის ვრცელ ეზოში ასი ძირი ნაძვი დაირგო. შრომითი ზეიმი იყო ეს აქცია ცეროდენებისა და მათი მშობლების მონაწილეობით.

და დღეს რაც არის, არის ის, რაზეც აკაკი იტყოდა: „ეს თვალები რას ნახავენ სხვას უკეთეს სანახავსო“. და ყოველივე ამის რეალობად მქცეველი ყველა თანამშრომელთან ერთად გახლავთ გამობრძმედილი, სიახლეთა დამნერგავი, შემოქმედი დირექტორი **ნინო სიჭინავა**.

ლამაზი ბიოგრაფია ამშვენებს ნინოს ცხოვრებას. ჩხოროწყუს მე-3 სკოლისა და აგრარული უნივერსიტეტის აღზრდილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ერთხანს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. გულმა პატარებისკენ გამოუწია. ბაგა-ბაღების დირექტორთა კონკურსში ბრწყინვალედ გაიმარჯვა და აჰა, აგერ 8 წელი გასულა, რაც 115-ე ბაგა-ბაღს წარმატებით განაგებს. განაგებს კი არა, იგი „ფენიქსებრ“ ააღორძინა. ხომ ბევრი რამ გააკეთა, ბევრი სიახლე დანერგა და იგი ტრადიციად აქცია, მაგრამ ყველაზე მეტად ბოლო ხანების მიღწევებით ამაყობს.

მას შემდეგ, რაც ქალაქის მერიამ მშობელთა გადასახადი გააუქმა, ბაგა-ბაღში შემომსვლელ ბავშვთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. დირექტორის, მერიის, განსაკუთრებით ბაგა-ბაღების სამსახურის სააგენტოს უფროსის ბატონ **თემურ თორდინავას** ძალისხმევით გამოინახა რესურსი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბაღის შენობის ერთ-ერთი გამოუყენებელი ფართი შეაკეთეს. პროექტი თავად დირექტორმა შეადგინა და მერიის დაფინანსებით მიმდინარე წლის 12 იანვარს აქ ორი ახალი ჯგუფი გაიხსნა. გაიხარეს ცეროდენებმა, გაიხარეს მათმა მშობლებმა.

ნინომ დიდი ავტორიტეტი დიდი ხანია მოიხვეჭა ვარკეთილის ზემო პლატოს დასახლებაში. უყვართ თანამშრომლებს, რადგანაც თავადაც არის ყველას გარჯის დამნახავ-დამფასებელი. გუნდური პრინციპით იღვწიან, ურთიერთგაგებით თანამშრომლობენ. გზადაგზა ბევრ თანამშრომელს გავეცანი და გვინდა ისინი მკითხველსაც გავაცნო.

შემოქმედ პედაგოგს, დირექტორის მოადგილეს **ლია გარსევანიშვილს** დაუღალავი გარჯით დიდი წვლილი შეაქვს ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში.

მეთოდისტი **ნინო ხოსიტაშვილი**. მისი კოორდინებული მუშაობა აღმზრდელებთან, სხვა მუშაკებთან მეტად ნაყოფიერია სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, ნორჩების შემეცნებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საქმეში.

სამეურნე ნაწილის კოორდინატორის ოპერატიული მუშაობის გარეშე ბაგა-ბაღის ნორმალური ფუნქციონირება წარმოუდგენელია. ამ სფეროს ბრწყინვალედ უძღვება დიდი გამოცდილების მქონე მეურნე **ნათია ჭუმბურიძე**. მასთან ერთად ერთ ჰარმონიაში მოღვაწეობენ მუდამ პასუხისმგებლობით აღჭურვილი საქმის მწარმოებლები: **მანია კედელაშვილი** და **ცისანა ხუტაშვილი**. ზემოჩამოთვლილი პერსონალების თავდადებულ შრომას მაღალ შეფასებას აძლევს დირექტორი.

დიდი ხანია ნორჩების ჯანმრთელობის საქმეს ერთგულად ემსახურება ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **დოდო კვირაია**. იგი ცეროდენების კეთილი მრჩეველ-მეგობარია.

არ შეიძლება მადლობა საინტერესო მუშაობისთვის არ ვუთხრათ ფსიქოლოგ **ლია ხიდეშელს**. იგი აღმზრდელებთან ერთად ბევრს მუშაობს ნორჩებში ნებისყოფისა თუ სხვა უნარ-ჩვევების აღზრდისათვის.

ნორჩებში მეტყველების კულტურის აღზრდა ხომ კეთილშობილური საქმეა და ამ მუშაობას ნაყოფიერად ატარებს გამოცდილი ლოგოპედ-აღმზრდელი **ეკა შიხიაშვილი**.

სამზარეულოდან ჩვენამდე მადისაღმძვრელმა სურნელებამ მოაღწია. ჯგუფები სადილობას იწყებდნენ. მშობლებს ვკითხე, როგორი კვება არის-მეთქი. ერთხმად აღიარეს, შესანიშნავიო,

გაგრძელება მე-5 გვ.

დაპურდი, გახდი ყანაო!“

ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პროდუქტებით იკვებებიანო ჩვენი პირმშოები.

ერთმა თქვა, ჩემი შვილი ჩემს გაკეთებულ საჭმელს არ მიირთმევს, აქ კი მადაზე მოდისო. მეორე ქალბატონი თურმე პოეტი ყოფილა, იქვე ჩაულექსა: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო“.

ეს დითირამბები მართლაც გემოვნებიანმა, გემრიელი კერძების დამამზადებელმა მზარეულმა **ლოლა გურგენიძემ**, მისმა დამხმარეებმა: **მზევინარ მოისწრაფიშვილმა**, **მადონა ჯღარკავამ** და **დოდო ვაჭრიშვილმა** ალალად დაიმსახურეს.

ქართველ კომპოზიტორთა საბავშვო მელოდიები დაირხა, ტკბილმშობლიურმა ხმებმა მოგვაჯადოვა. ახლა მღელვარე დღეები დგას ბაგა-ბაღში. გამოსაშვები ჯგუფები გაცილების ზეიმისთვის ემზადებიან და ცეროდენებს აღმზრდელებთან ერთად ჩინებული მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები: **თინათინ ბუსხრიკიძე**, **ლია დაუშვილი** და ცნობილი ცეკვის მასწავლებელი **კახაბერ ბარბაქაძე** ამეცადინებენ. ბაგა-ბაღს ბრწყინვალე სპორტული და საკონცერტო დარბაზი ამშვენებს. ვინ მოთვლის, რამდენი ნიჭიერი, ხელოვნების ზეიმებში გამარჯვებული ნორჩი მომღერალ-მოცეკვავე აღუზრდიათ ამ ცეკვა-სიმღერის პედაგოგებს. და აჰა, დღესა თუ ხვალ გამოსაშვებ ჯგუფებში ბევრი ურევია გამორჩეულად ნიჭიერი ცუგრუმელა.

ღელავენ გამოსაშვები ჯგუფების აღმზრდელები, მათი თანაშემწეები; ეს ჯგუფებია: **„ყოჩაღები“**, **„ცეროდენა“**, **„ფიფქია“**, **„გვირილა“**, **„ვინიპუხი“**, **„დიუმაოჩკა“**. მათი აღმზრდელები არიან: **ლია გურულიშვილი**, **ლია ბობოხიძე**, **ლელა გვეტაძე**, **ნანა ყიფშიძე**, **მაკა ნადირაძე**, **თამუნა ლომჯარია**, **ნონა ბეგოიძე**, **იზა პავლიაშვილი**, **ბელა გალუსტოვა**, **ეკა შიხიაშვილი**, თანაშემწეები: **ირმა იარალაშვილი**, **ლალი მუმლაძე**, **მარინე თხელიძე**, **ნანა პატიაშვილი**, **ნინო ბუხნიკაშვილი**, **ნინო აფციაური**, **დალი წითლაური** და **ნარინე არუთინოვა**. მათ თავიანთი სკოლისთვის კარგად მომზადებული, ნაფერები მერცხლები მალე გაუფრინდებიან. მაგრამ სექტემბრიდან ახალ ცვლას, ახალმოჩიტულებს მიიღებენ.

ზემოთ ვთქვით, დირექტორი **ნინო სიჭინავა** ბევრი სიახლის დამამკვიდრებელიაო. აი, ერთ-ერთი მათგანი. მაგიდაზე ეწყო ამ ბავშვებისთვის ბაღის დამთავრების მოწმობები, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული. შორიდან უნივერსიტეტის დიპლომი მეგონა. მესამე გვერდზე სამახსოვრო ლექსია: **„გემშვიდობებით, გემშვიდობებით, მიგვყვება თქვენი მზერა ნათელი, გვემახსოვრება ეს ტკბილი წლები, თქვენი სითბო და თქვენი ალერსი“**.

დირექტორი მთელი სასწავლო წლის მანძილზე გატაცებული მოღვაწეობისთვის მადლობას უცხადებს ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით კი მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელებს: **მაია მშვენიერაძის**, **ირმა სიორდიას**, **ნაირა ეჯიბაძის**, **მაია გამეზარდაშვილის**, **მაგული ტაბატაძის**, **ირინე ჩიხლაძის**, **ლამარა ქუფარაშვილის**, **დიანა ხურცილავას**, თანაშემწეების: **ნატა საბაშვილის**, **მზია ხუროშვილის**, **ხათუნა მირიანაშვილის**, **თეა ყარაშვილის**, **იზა ღურწკაიას**, **მზევინარ ჩიჩუას**, **ნათია ნოზაძის** მუხლჩაუხრელ შრომას.

კეთილ დირექტორს არც ტექპერსონალის ღვაწლი გამორჩენია და გულწრფელად შეაქო: **შორენა ჩომახაშვილის**, **მაია ვეშაპურის**, **ქრისტინე მაჭარაშვილის**, **გულთამზე შანიძის**, **მზია ვარამაშვილის**, **ვარდო იბრაგიმოვის**, **ხათუნა უცუნაშვილის**, **ვაჟა ბასილაშვილის**, **მერაბ შარიქაძის**, **მორის როსტიაშვილის**, **გულნარა გასუმოვის** მარჯვენა.

2014-2015 სასწავლო წელი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. „საქმის დროზე ვმუშაობდით, უქმე დღეზე მოვილხენდითო“, – წერს აკაკი წერეთელი „თორნიკე ერისთავში“.

თავდადებულ გარჯა-სწავლას შესატყვისი დასვენება მუდამ მოუხდება.

საინტერესო, შინაარსიან დასვენებას, ბედნიერ არდადეგებს და შვებულების სიხარულით გატარებას გისურვებთ, 115-ე ბაგა-ბაღელებო!.

ბორის მიშველაძე

სექტემბრამდე, 169-ე ბაგა-ბაღელებო!

ნანატრი არდადეგები გელოდებათ

სასწავლო წლის ბოლო აკორდებია. კიდევ ცოტა და... დაიწყება მხიარული არდადეგები. როგორც ყველას, ასევე 169-ე ბაგა-ბაღელებს ელოდებათ მონატრებული მთები, ტყეები, ზღვები, წყლები, მდინარეები... საქართველოს საოცარი ფლორა და ფაუნა.



საოცრება, ზღაპრული ეზო აქვს ამ ბაგა-ბაღს, ნაძვნარით დაბურული, ხოლო მის მზიან ჩრდილებში უხვადაა საქანელები, კარუსელები, „აჩუ-აჩუ, ცხენოები“.

მალე მიწყნარდება ხალისიანი ჟრიამული. ხუთი წლის წინათ ვიყავით აქ და როგორ შეცვლილა, გაზრდილა, გაბრწყინებულა! ეს იმიტომ, რომ ძვირფას აღმზრდელებთან ერთად ბაგა-ბაღს პატრონობს ძვირფასი, ცეროდენებზე შეყვარებული დირექტორი **ფიქრია ჩახნაშვილი**. აგერ უკვე რვა წელია, რაც ფიქრიას ფიქრისა და ზრუნვის საგანია ბაგა-ბაღის პატარებისთვის თვალის ჩინად ქცევა. და აჰა, ისიც, მართლაც, ასეთია იგი ზღაპრული, თვალწარმტაცი – სწორედ ისეთი, რომელზეც აკაკი იტყოდა „ეს თვალები რას ნახავენ, სხვა უკეთეს სანახავსა!“

ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რადგანაც იგი ზედმიწევნით მოწესრიგებულია.

– დიდი მადლობა ქალაქის მერიას, კერძოდ, ბაგა-ბაღების სამსახურის სააგენტოს უფროს **თემურ თორდინავას** გაწეული დახმარებისთვის, – თანამშრომელთა სახელით მადლიერებას გამოხატავს დირექტორი.

ბაგა-ბაღის აღმავლობაში დიდი წვლილი მიუძღვის გამოცდილ-პედაგოგს, შრომისმოყვარე დირექტორის მოადგილეს **მერი ტყეშელაშვილს**, რომელიც მუდამ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას. კმაყოფილი არიან მშობლები, გახარებული – ცეროდენები. ეს კი მთავარზე მთავარია. მნახველს თუ უნდა ესთეტიკური ტკბობა იგემოს, ზღაპრული სამყაროს იერ-სახე უნდა დაათვალიეროს. პატარების მეცადინეობას, თამაშს, ცეკვა-სიმღერას, ზეიმს უნდა დაესწროს. დამიჯერეთ, უთუოდ მოიხიბლება. ასეთი ღონისძიება კი ბევრზე ბევრი ჩატარებულა და ტარდება. აი, მუსიკალური დარბაზიდან: „საზეიმო ხმები ისმის, გული ლხენით აივსო, შენ სალამი, შენ დიდება, გამარჯვების მაისო“!

ბავშვთა დღის ზეიმი ჩაატარეს ჯგუფებმა.

კიდევ ორიოდე დღე და გამოშვების სევდა-სიხარული მუსიკალურ ფერებად დაიღვრება. ოთხი ჯგუფი გაფრინდება ბაღიდან. მათ, სკოლისთვის კარგად მომზადებულებს, გზას დაულოცავენ აღმზრდელები: **ნადეჟდა კვირიკაშვილი**, **მაია გიორგაშვილი**, **ხათუნა ზოზიაშვილი** და **ნინო ლონდარიძე**, თანაშემწეები: **შორენა ყოჩიაშვილი**, **ნინო ბიწაძე**, **ფატი კურატაშვილი** და **ლელა ბაღდავაძე**. ამ გაცილების გვირგვინი მაინც იქნება ნიჭიერ ბავშვთა ბრწყინვალე კონცერტი, სულის გამფაქიზებელი, ნორჩების ხელოვნების სიყვარულის აღმზრდელი მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების **მანანა ჯიბლაძისა** და **ნანა კუპატაძის** ხელმძღვანელობით.

მაგრამ რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, აღმზრდელ-პედაგოგთა და მათ თანაშემწეთა ღვაწლიამაგი დაუფასებელია. მადლობას და ქებას იმსახურებენ: **ნანული ავალიანი**, **მარო თურმანიძე**, **ნინო ჯანიაშვილი**, **ნელი ვალაშვილი**, **გულნაზ ბერძენიშვილი**, **ნიაზ გოგოლაშვილი**, **ნატალია ბერიკაშვილი**, **მარი გელაშვილი**, **ნინო მერაბიშვილი**, **ნათია ფოლადაშვილი**, **ნინო ბედინაშვილი**, **ნატო ცირუნაძე**, **ნინო ბარდაველიძე**, **ნინო ძებნიაური**, **მარი ფანჩულიძე**, **მეგი გძელიძე**, **თამარ მაღლაკელიძე**, **სოფია ნუცუბიძე**, **ანა ჯოგლიძე**, **ალი მეგრელიშვილი**, **რუსუდან ყვავილაშვილი**, **მაყვალა ნათაძე**, **ციალა აბჟანდაძე**, **ნინა სამხარაძე**, **თეა მელაშვილი**, **ციცინო წულუკიძე**.

მადლობა ვუთხრათ ყოველი საქმის სულსა და გულს, შემოქმედ მეთოდისტ **თინათინ აბრამიშვილს**.

სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **მედეა მოდებაძის** მოქნილი მუშაობის გარეშე რომ არაფერი გამოვა, ყველამ ვიცით. დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს მის ენერგიულ საქმიანობას.

ბაღში ინკლუზიური ბავშვები ჰყავთ. მათი ჯგუფებში ადაპტაციის კუთხით ძალიან ბევრს მუშაობს ნიჭიერი ფსიქოლოგი **ნათია საცერაძე**. ხოლო საქმის მწარმოებელი **ნინო სახელაშვილი** ბაგა-ბაღის მშვენება, უღალატო მუშაკი და დირექტორის მარჯვენა ხელია.

როგორ შეიძლება დიდი მადლიერება არ გამოვხატოთ ცეროდენებში, ასევე მათ მშობლებში გამორჩევით პოპულარულ პერსონალებზე. ესენი გახლავთ გემოვნებიანი, გემრიელი კერძების დამამზადებელი მზარეული **ასმათ მაღლაკელიძე** და მისი დამხმარეები: **ზაირა ლომიძე** და **ლეილა ადამაშვილი**. მათი არომატული, ყუათიანი კერძებით ცუგრუმელების თაობებია გაზრდილი.

ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორი, გამოცდილი ექიმი **ნაილი ბურჯანაძე** მთელი ბაგა-ბაღის პატივისცემას იმსახურებს ნაყოფიერი შრომით, ცეროდენებზე ზრუნვით. ვთქვათ ქება მებაღე **ლალი ბერიძისა**, ვინც პატრონობს მწვანე სამოსს, კიდევ ბევრია საქმე სანაქებო. მთელი წლის მანძილზე **ფიქრია ჩახნაშვილის** თაოსნობით ჩაფიქრებულ-გაკეთებული ამ ზღაპრულ ბაგა-ბაღში.

მუხლჩაუხრელი შრომით განვლილი სასწავლო წელი უკან დარჩა. უკან დარჩა ბევრი სიძნელე – შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული. კარგ შრომას კარგი დასვენება მოუხდებაო. ხალხური ლექსისა არ იყოს: „გიგლა, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა“! ეს რჩევა განა მარტო ცეროდენებს ეხებათ? მათ აღმზრდელებსაც, ბაგა-ბაღის მთელ პერსონალს სჭირდება შვებულება.

ბაღდამთავრებულებს სკოლა ელოდება, ყველას ერთად კი – მხიარული ზაფხულის არდადეგები.

ჯანსაღ, შინაარსიან, ხალისიან დასვენებას, ძალთა მოკრებას, ორგანიზმის გაკაჟებას გისურვებთ, 169-ე ბაგა-ბაღელებო!

მაია მიშველაძე

ხალისიან არდადეგებს გისურვებთ, 94-ე ბაგა-ბაღელებო!

ეს კეთილგანწყობა და სიყვარული სუფევს

94-ე ბაგა-ბაღი „ფერია“ თბილისში, კუკიის დასახლებაში, ჭალადიდის ქუჩაზე მდებარეობს. ბაღში პატარების აღზრდა-სწავლებისთვის, მართლაც ბრწყინვალე პირობებია შექმნილი, რაც მათი დიასახლისის ანუ დირექტორის **ქეთევან ჯანიაშვილის** დიდი დამსახურებაა. ქალბატონი ქეთევანი, უკვე 8 წელიწადია, წარმატებით იღვწის ამ დაწესებულების გაბრწყინებისთვის. მას საოცრად უყვარს პატარები და თანაბრად აფასებს თითოეულ თანამშრომელს.

ბაღში რომ არაჩვეულებრივი გარემოა შექმნილი, შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა. ეზო მოწესრიგებულია, მოპირკეთებული, თან ლამაზად გაფორმებული. ბაღის ფოიეში თვალშისაცემია კედელზე გაკრული სხვადასხვა თვალსაჩინოებები, პატარების შემოქმედება – ნახატები, გამოძერწილი ზღაპრის გმირები.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ **ქეთევან ჯანიაშვილის** მისვლის შემდეგ, ბაღი მართლაც აღორძინდა. მანამდე, აქ მხოლოდ 2 ჯგუფი ფუნქციონირებდა, შემდეგ თანდათან გაფართოვდა და ახლა უკვე 4 ჯგუფია, 3 ასაკობრივი, ხოლო ერთი ბაგის ასაკის. შენობა მართალია ძველია, მაგრამ იგი გარემონტდა, შეიცვალა ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდა სან-ტექნიკა, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, კეთილმოეწყო ოთახები და აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით. წლეულს, ბაღი სკოლაში 22 ბავშვს გააცილებს.

ასე რომ, 94-ე ბაგა-ბაღში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პატარებმა თავი კომფორტულად და ბედნიერად იგრძნონ. ამიტომაც, მსურველთა რიცხვი გაიზარდა. ჯგუფების მატებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ბაღის თანამშრომელთა რიცხვიც. სამომავლოდ, დაგეგმილია ფსიქოლოგის შტატის დამატებაც. დირექტორის თქმით, ბაღს გვერდში უდგას და ეხმარება თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა**. აქაური მესვეურები ასევე, კმაყოფილებას გამოთქვამენ ქალაქის მერის **დავით ნარმანიას** მიმართაც, რომელიც ხშირად სტუმრობს მათ.

დირექტორის მოადგილე გახლავთ თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე – **მზევინარ ყაჯრიშვილი**, მოწესრიგებულია, მოპირკეთებული, თან ლამაზად გაფორმებული. ბაღის ფოიეში თვალშისაცემია კედელზე გაკრული სხვადასხვა თვალსაჩინოებები, პატარების შემოქმედება – ნახატები, გამოძერწილი ზღაპრის გმირები.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ **ქეთევან ჯანიაშვილის** მისვლის შემდეგ, ბაღი მართლაც აღორძინდა. მანამდე, აქ მხოლოდ 2 ჯგუფი ფუნ-

ბაგა-ბაღს ემსახურება მაღალკვალიფიციური ტექ-პერსონალი, რომლებიც მუდამ ზრუნავენ პატარების უსაფრთხოებაზე. ესენი არიან: დარაჯები: **ირინე სუხისვილი** და **ირაკლი სუხაშვილი**. შექებას იმსახურებს დამლაგებლის

არდადეგების დაწყებას გილოცავთ, 71-ე ბაგა-ბაღელებო!

დაგესვენოთ ბედნიერად!

დედაქალაქის გარეუბნის ბაგა-ბაღებს შორის, 71-ე ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა. დღეს სწორედ მასზე გვინდა მოგიყვეთ, აქაური ცეროდენების იმ საინტერესო და ხალისიან ცხოვრებაზე და იმ სიხარულით აღსავსე დღეებზე. ცუგრუმელებმა ასე გაატარეს სასწავლო წელი ფონიჭალის ერთ-ერთ გამორჩეულ საბავშვო ბაღში.

71-ე ბაგა-ბაღი მეტად მოწესრიგებულია შიდა თუ გარე ინტერიერით, ესთეტიკით, ულამაზესი გარემოთი და რაც მთავარია, უდიდესი სითბოთი და სიყვარულით იმ თანამშრომლების მხრიდან პატარებისადმი, რომლებმაც შექმნეს და მოაწყვეს ეს სასიამოვნო გარემო.

მართლაცდა თვალში მოსახვედრია მოხატული და მოლამაზებული კედლები, სადაც იგრძნობა ქართული სული, საქართველოსადმი სიყვარული. აღსანიშნავია, რომ აღსაზრდელების ძალიან დიდი ნაწილი არაქართულენოვანია, მაგრამ აღმზრდელების დამსახურებაა ის, რომ პატარები დიდი სიყვარულით ეუფლებიან აქ ქართულს, სწავლობენ ქართულ ლექსებს, ისმენენ ქართულ ზღაპრებს, მღერიან ქართულ სიმღერებს და ასე უმძაფრდებათ საქართველოს სიყვარული.

საბავშვო ბაღის მუშაობას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ენერგიული და ზედმიწევნით ყურადღებიანი დირექტორი ბატონი **ლევან ჩაბრაშვილი**. დაიბადა 1984 წელს, სწავლობდა 153-ე საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე. ბატონი ლევანი ბოლო რამდენიმე წლისწადია უკვე, რაც ამ ბაღზე ზრუნვით არის დაკავებული.

დირექტორის მოადგილის მოვალეობას ასრულებს ბაღში მეტად პასუხისმგებელი და გულისხმიერი პედაგოგი ქალბატონი **ირმა დანელია**, მისი დამსახურებით და თავდადებული შრომით არის მიღწეული სწავლების მაღალი დონე.

ბაღში საქმის მწარმოებელია ქალბატონი **ლალი პირველი**, მნის მოვალეობას კი ასრულებს ქალბატონი **ძიულა გუშანი**. დიდი გატაცებით, ნაყოფიერად მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი ქალბატონი **ნანა შიუკაშვილი**. მას მხარს უმშვენებს მეთოდისტი ქალბატონი **ნონა ხუროშვილი**.

ბაგა-ბაღში ირიცხება 490 აღსაზრდელი, აქედან ბაგაშია 60 და ამასთან ყველაზე მთავარი და ძირითადი ის არის, რომ ამ პატარებს თავს ევლება 15 აღმზრდელი, 17 თანაშემწე, ისინი დიდი სიყვარულით, მთელი შემართებით და დაუზარელი ენერგიით მზად არიან დღე და ღამე გაათენონ ამ პატარებზე ფიქრსა და ზრუნვაში. განსაკუთრებით, აღსანიშნავია იმ სტაჟიანი აღმზრდელების ღვაწლი, რომლებსაც შესისხორცებული აქვთ ეს საქმიანობა და წლების განმავლობაში ერთნაირ რეჟიმში მთელი მონდომებით ჩართულები არიან თაობების აღზრდის მეტად სათუთ საქმეში. ესენი არიან: **გოგიაშვილი მედეა**, **შიუკაშვილი ნანა**, **ჯანიაშვილი მანანა** და **კობახიძე დოდო**.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალბატონი **თინა დეკანოსიძის** ღვაწლი ამ ბაღში. ის მრავალი წელი მუშაობდა ამ სფეროში და არის ყველაზე სტაჟიანი, გამოცდილი აღმზრდელი, მის რჩევებს და დარიგებებს დღესაც ითვალისწინებენ ახალგაზრდა და დამწყები კოლეგები. მან თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი შეალია პატარების აღზრდის მეტად სათუთ საქმეს. წელს კი ჩაფიქრებული აქვს, რომ თავისი ცხოვრების დარჩენილი პერიოდი მოახმაროს ოჯახს და ბაღიც ემზადება, რომ ამ ღვაწლმოსილ პედაგოგს ღირსეული გაცილება მოუწყონ.

სიყვარულით ზრდიან ცუგრუმელებს: **ღვალაძე ნანა**, **გელიაშვილი ლალი**, **გიგანი ნანა**, **ჩხიკვაძე მარი**, **ციციშვილი ნინო**, **ზირაქაშვილი ნელი**, **ბასილაშვილი მანანა**, **პირტახია რუსო**, **სეფაშვილი მარინა**, **თედლიაშვილი სოფო**, **ჩუგუაშვილი ნონა**, **ლობჟანიძე მანანა**, **ხარატიშვილი იზა**, **ნავეიშვილი მაკა**, **ფაცაცია სოფო**, **უმფრიანი ეკა**, **ჯანიაშვილი მაკა**, **თაბაგირი იამზე**, **მანგოშვილი ეკა**, **სამყურაშვილი მარი**, **ვალიშვილი მარეხი**, **ბერიკაული ნათია**, **ხოსიტაშვილი მადლენა**, **მიჩილაშვილი ეკა**.

ქებას იმსახურებს აღმზრდელი **მაკა ბეგიაშვილი**, რომლის ნიჭის ნაყოფია ბაღში ლამაზად მორთული კედლები და ჭრელი ფერებით მოხატული გარემო. ეს ბავშვთა ამ სამყაროს უფრო მეტ სიხალისეს, ესთეტიკურ ელფერს ანიჭებს.

ბაღში მრავლად არიან ნიჭიერი თაობის წარმომადგენლები, პატარები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. ისინი თავს იჩენენ: სიმღერაში – **ბერუაშვილი სალომე**, **გოგიაშვილი დეა**, რომელთა მუსიკალურ განათლებაზეც ზრუნავენ მუსიკის პედაგოგები **სიხარულიძე ლალი**, **მკერვალი ნინო** და მათი თანაშემწეები: **გელაშვილი ნათია** და **კორგანოვი ეკა**.

ხატვაში წარჩინებულნი არიან **მნათობიშვილი ნატალი**, **მამედოვი აშრაფი**, ცეკვაში გამოჩენილი არიან: **ჩიტია ზურა** და **ჯაშიაშვილი ანასტასია**.

ბაღში არიან ისეთი აღსაზრდელებიც, რომლებსაც თამამად შეუძლიათ მხატვრულ კითხვაში მონაწილეობა. ესენი გახლავთ: **დოლიძე ნინო** და **რეი ახმედოვი**. გავიცანით მაღალი აქტიურობით გამორჩეული ცეროდენები: **ადვერდოვა დინარა**, **ალიმამედოვი ელიფი**, **ბეჟანიშვილი თეკლა**, **ბრეგაძე ავთანდილი**, **გაბლაია ნინო**, **გაბლაია ანასტასია**, **გვარაძე ნიკა**, **გუსეინოვი ნაირა** და **კანანი**, **გოგიაშვილი ვაკო**, **დვალაძე ზურა**, **თავაური დია**, **თაღორაშვილი დათო**, **იბრაგიმოვი ალექსი**, **კალატოზიშვილი ნიკა**, **ლოლაძე მიქაელი**, **მამედოვი ზურა**, **აისელი**, **ქანთარია საბა**, **შუბითიძე ვაკო**, **შვანგირაძე ჯონი**, **ჩაჩანიძე ალეკო**, **ჩხეტიანი ანი**, **წაქაძე ნინო**, **ხახვიაშვილი ნინო**, **ჯარიაშვილი ლევანი**, **კაკაშვილი თამარი**.

პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნავს ჯანმრთელობის და სანიტარული ჰიგიენის კოორდინატორი ქალბატონი **გოგიაშვილი მედეა**.

აღსაზრდელებთან ბევრს მუშაობს ფსიქოლოგი **ნუნუ ნემსაძე**.

პატარებს ძალიან უყვართ მზარეული **ზიტა ხუხუას** და მისი თანაშემწეების **ნინიკაშვილი მადარისა** და **ხარაიშვილი ნონას** მომზადებული კერძები

კეთილსინდისიერად შრომობენ: **ბერუაშვილი გრიგორი**, **კვიციანი მერი**, **გიგანი მაია**, **ხაჩიძე ნუცა**, **იშხნელი მაკა**, **აბაშიძე ვახო**, **ხოსიტაშვილი მიშა**, **გოშუანი ნაზიბროლა**, **თოფჩიშვილი ნანა**, **ისრაელიანი ზენფირა**, **გაბუზიანი ანაიტი**, **ლობჟანიძე ლალი**, **ბეროშვილი ნათელა**, **გრიგალაშვილი ნაილი**.

ბაღის დირექტორი და მთლიანად პედკოლექტივი მადლობას უხდის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსს **თემურ თორდინავას** დახმარებისთვის.

დაიწყო დიდი და მხიარული არდადეგები. მის ბედნიერ გატარებას გისურვებთ, 71-ე ბაგა-ბაღელებო.

ნანა ფიფია

ხალისიან არდადეგებს გისურვებთ კოჯრის ბაგა-ბაღელებო!

„გიგლა, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა“

დედაქალაქთან ახლოს, 17 კილომეტრში, მთის ფერდობზე სიმწვანეში ჩაფლული კოჯორში გ. ტაბიძის 1-ში მდებარეობს კოხტა ბაგა-ბაღი. დიდი

და ნათელი შენობა თავისი ლამაზი და მოვლილი ეზოთი შორიდანვე იპყრობს ყურადღებას. ბაგა-ბაღი კოჯორში 1960 წელს დაარსდა, ახალმა შენობამ კი ფუნქციონირება 1989 წლიდან დაიწყო.

დღეს ის ორი სოფლის, კოჯრისა და კიკეთის მოზარდების აღზრდას ემსახურება. თანამშრომელთა შორის აქ მოღვაწეობენ ისეთებიც, რომლებიც თავად იყვნენ ამ ბაგა-ბაღის აღსაზრდელები.

ბაგა-ბაღის დირექტორი, ქალბატონი **ხათუნა წერეთელი** ამავე ბაღის აღმზრდელი იყო, ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც აღსაზრდელებში, ისე თანამშრომლებსა და მშობლებს შორის. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ თანამშრომელთა დიდი სურვილის თანახმად იგი 2007 წლიდან ბაგა-ბაღს ჩაუდგა სათავეში. პოეტების შთამომავალს სულიც პოეტური აქვს. ვინც მას იცნობს, იცის, როგორი დიდი პატრიოტია. იგი ყოველთვის ცდილობს ყველა საბავშვო ზეიმი თუ წარმოდგენა გასართობთან ერთად შემეცნებითიც იყოს იმ დოზით, რა დოზითაც შეუძლიათ პატარებს გაიგონ და შეიგრძნონ იგი, გამოყენებული იყოს მათი უნარ-ჩვევების აღზრდისათვის.

ბაღს აქვს შესანიშნავი დარბაზი სპორტული თამაშობებისთვის, დიდი ეზო კი საშუალებას აძლევს ბავშვებს, გაერთონ ეზოს სათამაშოებით და დიდხანს იყვნენ სუფთა ჰაერზე. ბაგა-ბაღის დირექტორი და პედაგოგები ცდილობენ ბაგა-ბაღის საქმიანობაში ჩართულები იყვნენ მშობლებიც, შექმნილია სათათბირო ორგანო. მშობლები აღმზრდელებთან აქტიურად თანამშრომლობენ.

ბაგა-ბაღის საზეიმო ღონისძიებებს ყოველთვის ესწრებიან სტუმრები ადგილობრივი და რაიონული თვითმმართველობიდან. წელს საახალწლო ზეიმს ესწრებოდნენ მთაწმინდის რაიონის გამგებელი, ბატონი **გელა არჩვაძე**, პარლამენტის დეპუტატი ბატონი **ზაზა პაპუაშვილი**, კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **დოდო კაჭახიძე**. ქალბატონი დოდო გახლავთ კოჯრის ბაგა-ბაღის დიდი მეგობარი, რომელიც ანებივრებს პატარებს როგორც საბავშვო ლიტერატურით, ასევე სითბოთი და სიყვარულით. ღონისძიებაზე ასევე გვესწრებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი ქალბატონი **თინათინ გველესიანი**.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ბევრი რამ გაკეთდა. ზაფხულის სეზონისათვის, ე. ი. არდადეგების დროს დაგეგმილია სარემონტო სამუშაოები, ამ საქმეში ბაგა-ბაღს გვერდში უდგას და ეხმარება თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, ბატონ **თემურ თორდინავას** მეთაურობით.

ბაღის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ბევრს ზრუნავს დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ქეთევან შოთაძე**. ბაგა-ბაღში შესანიშნავი გარემოა შექმნილი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, რომელსაც ქმნიან აღმზრდელები: **ლეილა ჭრიკიშვილი**, **ხათუნა მამაცაშვილი**, **ელენე ნიაზაშვილი**, **ნატალია თუშიშვილი**, **თამარ გოგოლაძე** და **მარინე ბანცაძე**. აღმზრდელებს გვერდში უდგანან თანაშემწეები: **თამარ რიბაკონინი**, **თეა ავაქიშვილი**, **თამთა კვირიკაძე** და **მაია გიგაური**.

ბაღის აღმზრდელებისა და თანაშემწეების დაუღალავი შრომისა და შემართების შედეგია ის, რომ ყოველ წელს ბაგა-ბაღის პედაგოგები მადლობის წერილს იღებენ კოჯრის საჯარო სკოლიდან, სადაც ყოველწლიურად კარგად მომზადებული აღსაზრდელები მიდიან. ბაგა-ბაღის დირექციის საპასუხო მადლობა სკოლას ბაგა-ბაღის წარმატებებში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

პატარების ყოველდღიურ ყოფას ალამაზებს და ამხიარულებს მუსიკის პედაგოგი **ჰერა თომბულავა**. იგი ნიჭიერ, პერსპექტიულ ნორჩ ხელოვანებს ეხმარება, აკვალიანებს. პატარების ჯანმრთელობაზე, სწორ კვებასა და ჰიგიენის მდგომარეობაზე ზრუნავს და ამ საქმეში თავს არ ზოგავს ბაგა-ბაღის საქმიანობაში მუდმივად აქტიურად ჩართული **ნინო დანელია**.

დიდი მადლობა მზარეულს **იზოლდა დათუნიშვილს**, რომელიც ანებივრებს ბავშვებს გემრიელი კერძებითა და დესერტებით. აღნიშვნის

ღირსია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნუნუ შავშიშვილის** ნაყოფიერი მუშაობა, მისი მზრუნველობა და გულისხმიერება ბავშვების მიმართ სანიმუშო და მისაბაძია.

ბაგა-ბაღის საქმიანობაში დიდი წვლილი შეაქვს საქმისმწარმოებელს უერთგულეს ადამიანს **ნანული გამდლიშვილს**, რომელიც როგორც იტყვიან, ადმინისტრაციის მარჯვენა ხელია. მადლობა ყველასათვის საყვარელ **მარიკა ბეკოშვილს**, ბაღის დამლაგებელს, ხელმარჯვე ოსტატს, ბავშვებისთვის უსაყვარლეს პიროვნებას. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბაღის დარაჯის **სევერიან ქოროლლიშვილის** ერთგულება. იგი საიმედოდ იცავს შენობას.

მალე გაიმართება გამოსაშვები საზეიმო ღონისძიება და ბაგა-ბაღის აღსაზრდელები: **ნიკოლოზ აბაშიძე**, **მიხეილ ალთუნაშვილი**, **ქეთი ბოჭორიშვილი**, **მარიამ გოგოლიძე**, **დათო დავითაშვილი**, **მელანია კობიძე**, **ნიკოლოზ მადოსიანი**, **ანანო ონიანი**, **თათული რუსიტაშვილი**, **ნიკოლოზ ქენქაძე**, **გიორგი ჩიტაური**, **სალომე შატაკიშვილი**, **ლუკა ხაღულაშვილი**, **მზია ჯავახიშვილი**, **ნათია წიკლაური** დაიწყებენ ცხოვრების ახალ ეტაპს. მათ ბაგა-ბაღი დაულოცავს გზას სკოლისაკენ.

პატარაა კოჯრის ბაგა-ბაღი, მაგრამ საყვარელი და ძვირფასი. ოქროც ხომ პატარაა.

მშვიდობა, სიყვარული და ღვთის წყალობა არ მოკლებოდეთ კოჯრის ბაგა-ბაღელებს.

რომან მოსეშვილი



ახალი წიგნი – თარრზე

მისი შემოქმედების შემაჯამებელი ეტაპული

სულ ახლახან მკითხველმა ძვირფასი საჩუქარი მიიღო უხუცესი მეცნიერისა და მწერლის **ნაპოლეონ ლემონჯავას** „მოთხრობებისა და წერილების“ სახით. მის მოკლე ანალიზსაც ვერ ვახერხებთ ამჯერად. ჩვენი მიზანია, მკითხველს ვაცნობოთ წიგნის არსებობის შესახებ და აღვუძრათ სურვილი მისი წაკითხვისა.

წინამდებარე კრებული ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში შესულია მცირე პროზაული ტექსტები. აქ თავმოყრილია 100-ზე მეტი ნიმუში. მეორე ნაწილი კი ეთმობა 30-ზე მეტ სხვადასხვა ხასიათის მასალას (წერილი, რეცენზია, ესეე...).

თავისი ნაწერების ჟანრულ მრავალფეროვნებაზე მწერალი ადრეც მიუთითებდა: „ჩანაწერი ხან ლექსის სახეს იღებს, ხან — ჩანახატისას, ხანაც ესსეის ჰგავს“. ხოლო ბოლოდროინდელი ტექსტების შესახებ აღნიშნავს: „ამჟამინდელი ჩვენი მოთხრობები ხასიათდება საკმაოდ გამოკვეთილი ფრაგმენტულობით, რომლითაც იქნებ უახლოვდება კიდეც რამდენადმე ჩვეულებრივ დღიურების ფორმით დაწერილს“.

ნაპოლეონ ლემონჯავას მხატვრულ ტექსტებში, მიუხედავად მათი მცირე მოცულობისა, ცხოვრების შუაგულში მყოფი დაკვირვებული პიროვნების მახვილი თვალით არის დანახული თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები. შესაძლოა, მის მიერ წარმოჩენილი ესა თუ ის უარყოფითი მოვლენა თუ ნიუანსი არ იყოს ერთნაირი სიმწვავის პრობლემა, მაგრამ უდავოა, რომ ის, რაც მწერალს აწუხებს, საზოგადოებისთვისაც აუცილებლად მნიშვნელოვანია. მწერალს უპირველესად აინტერესებს ადამიანი, მისი პიროვნება, ზნეობრივი სახე, ხასიათი, რამდენადაც, როგორც ერთ სხარტულაში აღნიშნავს, „თითქმის ყოველი პერსონა იმდენად რთულ ნიუანსებს მოიცავს, საგანგებო დაკვირვებისას საინტერესო დეტალებს აღმოაჩენ!“ ჰოდა, ისიც დინჯად აკვირდება, სწავლობს და ააშკარავებს ადამიანისა და საზოგადოებისათვის დამახიათებელ პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს. მისი მთავარი საზრუნავი მაინც მანკიერებათა ჩვენებაა, რადგან კარგად მოეხსენება, რომ უაყოფითი, დასაძრახი მომენტების მხილება-დაგმობა უფრო ეფექტურად წარმოაჩენს ყოფის რეალურ სურათს, ვიდრე იდეალურ თვისებათა აღნუსხვა-რეკლამირება. მის ნაწარმოებებში სადად, როგორც თავად მიუთითებს, „ყოველგვარი ზიზილ-პიპილების გარეშე“ მხილებული



და დაგმობილია უმადურობა, ფარისევლობა-ცბიერება, მლიქვნელობა-ლაქუცი, სიცრუე, ჭორიკნობა, უსაფუძვლო ამბიციურობა, ყვარყვარიზმი, შური, ინტრიგანობა, უზნეობა, ლოთობა-ღვინომანია, გულნამცეცობა, უმეცრება-გაუნათლებლობა, უღმერთობა, ძალადობა და ასე შემდეგ.

მოკლედ, „გაგონილს დანახული სჯობს, ორივე კიდევ უფრო უკეთესიაო“, ამ ანდაზის ძალით მკითხველს ვურჩევთ, გულდასმით წაიკითხოს ბრძენკაცის, **ნაპოლეონ ლემონჯავას** ახალი წიგნი: **„მოთხრობები და წერილები“**.

რევაზ სალია,
პროფესორი

„არდავიწყება მოყვრისა“

მერი მარაქველიძის გახსენება

თბილისის 32-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივს არასოდეს დაავიწყდებათ სანდომიანი სახის თმაშევერცხლილი ქალი, ცოცხალი, მეტყველი თვალებით, დიდებული პედაგოგი **მერი მარაქველიძე**.

შესაშური იყო მისი ენერგიულობა, პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. მათემატიკის გაკვეთილებს არაჩვეულებრივად უხამებდა პოეტურ ნიმუშებს, დიდ ადამიანთა ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. მერი მასწავლებელი სამართლიანობისა და პირდაპირობის მისაბაძ მაგალითებს აძლევდა თავის მოსწავლეებს. თუ დასჭირდებოდა, იმერულად შეფუცხუნდებოდა, მაგრამ გულში წყენას არასოდეს ჩაიდებდა.

უშურველად თესავდა სიკეთეს, გასცემდა და იღებდა კიდეც საპასუხო სიყვარულს, იხვეჭდა პატივისცემას. სახელოვან მასწავლებელს თავისი ყოფილი მოსწავლეები გულდაჯერებულად ანდობდნენ შვილებს აღსაზრდელად. იცოდნენ, რომ მათემატიკასაც კარგად შეასწავლიდა და „კაიკაცობისა“ და „კაიქალობის“ გზაზეც დააკვალიანებდა.

კოლეგიალობა ხომ არავისგან ესწავლებოდა. როგორი ამაყი იყო, ჩვენს სკოლაში მისი აღზრდილი რომ მოვიდა მასწავლებლად. მათი დამოკიდებულება მოძღვრისა და შეგირდის ურთიერთობის საუკეთესო ნიმუშად გამოადგება კოლექტივს.

ძლიერი სიყვარული და მეგობრობა შეეძლო. გვახსოვს, როგორ განიცადა თავისი უმცროსი კოლეგისა და მეგობრის **ლაურა კანკიას** ნაადრევად წასვლა ამ სამზეოდან, მერე **ნორა კაკაურიძის** სიკვდილმა ხომ მთლად ჩაფერფლა, თითქოს საყრდენი გამოაცალა. კიდევ ერთხელ შეძრწუნდა, როცა **ლია ბურჭულაძე** დაიტირა. ამ ზნესრული ადამიანების მეგობრობა კოლეგიალობის საზღვარს სცდებოდა და ნათესაურ-დედმამიშვილურ სიყვარულს უტოლდებოდა.

იმ საზარელ 90-იან წლებში მერისთან ვიკრიბებოდით მეგობრები. „შეხვედრა წარსულთან“ – ასე დავარქვით ამ შეკრებებს. ახლა სხვა ამპლუაში ვიხილავდით ხოლმე ჩვენს საყვარელ ქალბატონს. გონებას საზრდოს გავუჩენდით, სულს მოვითქვამდით, და ისევ ყოველდღიურობის ორომტრიალში ჩავებმებოდით.

მერი მარაქველიძის მსგავსი მასწავლებლები დღევანდელ სკოლასაც სჭირდება და ხვალინდელსაც დასჭირდება. ამიტომაც მოისაკლისა ყველამ. ამიტომაც დაადინა კოლექტივმა გულწრფელი ცრემლი.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური კვალითის მიწა!

32-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

ნინიკოს

2015 წლის 13 ივნისს შენი დაბადებიდან 53 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო პირველო სიხარულო. ჩემს არსებობას მამობის სტატუსი შენ მიანიჭე. ეს იყო ჩემთვის უბედნიერესი დრო, რადგან გამიჩნდა მამობის სიამაყის შეგრძნება, ესე იგი, უნდა მეზრუნა იმისათვის, რომ გამეზარდა ქვეყნისათვის საიმედო პიროვნება. მე დიდად მეამაყებოდა შენი მამობა, რადგან შენმა სარედაქციო („ახალგაზრდა ივერიელში“) მოღვაწეობამ, ჟურნალისტურმა საქმიანობამ კარგად წარმოაჩინა შენი მეობა. დიდი მადლობა უფალს, რომ შენისთანა, ყოველმხრივ დიდებით შემკული შვილი მაჩუქა.

შემდეგ კი, 1983 წელს, შენი ბედნიერების დღე დადგა, ხოლო 1984 წლის 25 აგვისტოს უკვე შენც გახდი პირველი შვილის მშობელი, შემდეგ 1987 წლის 20 ნოემბერს, მეორე შვილის დედა გახდი, ხოლო 1997 წლის 19 აგვისტოს – მე-3-ე შვილი შეგეძინა, თანაც ბიჭი, ორი გოგოს შემდეგ – ყოჩაღ!.. როცა თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, უეცრად ეს რაღაც სუნთქვის შეზღუდვა დაგემართა და ექიმ-პროფესორთა დანაშაულებრივი უთავბოლობისა თუ უმეცრების გამო, შენი ამქვეყნიური არსებობა 2015 წლის 27 მარტს შეწყდა, და ის დიდი სიხარული, რაც 1962 წლის 13 ივნისს მომანიჭე, ერთბაშად სინანულის ცრემლად მადინე შენი ღვთის საუფლოში გადასვლით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ალალი ქართული სული!!!.. მომავალ შეხვედრამდე, შვილო!.. ჩემო ნინიკო, გილოცავთ დაბადებიდან 53-ე წლის შესრულებას კოსმიურ, აწ უკვე ღვთის საუფლოში სამარადისოდ დავანებულს...

მას შემდეგ ხატად გვექცა შენი სახე,
მას შემდეგ ლოცვას ვავლენთ უფლის წინაშე,
მას შემდეგ ყველა ვამაყობთ შენით,
და ვცდილობთ მარადი პატივი მივაგოთ
შენს არსებობას
კოსმიურ სამყაროში!
შენი არსებობის მადლი
მაღლა ღმერთსაც ააღელვებს
და დაგლოცავს მადლი ღვთისა,
ნათელს მოჰფენს შენს სულს მერე!..

შენი მამიკო თენგიზ თომაძე
14 მაისი, 2015 წელი

ვრცელი რეპლიკა

რა დაგიშავეთ ასეთი, გულნაზ მასწავლებელო?!

როგორ არ მინდოდა, მასწავლებლის ავტორიტეტს შევხებოდი, მაგრამ როცა თავად პედაგოგი მაიძულებს ამას, რა ვქნა?

ვრცელ სტატიაში სასწავლო წლის თვალსაჩინო წარმატებით დასრულება მოვულოცე თბილისის 119-ე საჯარო სკოლას. იმდენად შთამბეჭდავი იყო ეს მიღწევები, რომ ყველაფრის გაშუქება ვერ შევძელი, ბევრი მოვლენა: ოლიმპიადებში, კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეთა ჯილდოები, პედაგოგთა ბრწყინვალედ განხორციელებული პროექტები, სწავლებაში მიღწეული ზოგიერთი შედეგი ობიექტური მიზეზით ჩამონათვალს მიღმა დამრჩა. დანაკლისის კომპენსირება ამ მიღწევების ამსახველი ფოტოებით ვცადე. მეგონა, უკმაყოფილო არავინ მეყოლებოდა, მაგრამ დახეთ ბედის ირონიას!

– შეშფოთებული ვარ! აღშფოთებული ვარ! – დაწყებითი კლასების პედაგოგის **გულნაზ ლაზვიაშვილის** „რისხვა“ დაატყდა ჩვენი გაზეთის მთავარ რედაქტორს.

– რის გამო, ქალბატონო?

– როგორ თუ რის გამო? იმდენი გავაკეთე, იმდენი მიღწევა მაქვს კლასში და არ მახსენეთ, – გაისმა ბრაზიანი საყვედური.

– განა მარტო თქვენი? ვერც სხვათა მიღწევები გავაშუქეთ, – თავი „იმართლა“ რედაქტორმა.

– სხვა არა ვიცი მე, ჩემთან უნდა მოსულიყავით, ჩემი წარმატებები უნდა ფართოდ აღგენიშნათ... მე ამას სხვა გაზეთში დავბეჭდავ! – ყურმილში გაისმა „ულტიმატუმი“.

ე. ი. რედაქტორს ეკამათებოდა, რატომ არ მაქეთ და მადიდეთო.

ასეთ „ტაქტიანობას“ კიდევ აიტანდა კაცი, რომ არა შემდეგი:

– აღშფოთებული ვარ! შეშფოთებული ვარ“, **დავხიე კიდეც თქვენი გაზეთი და გადავყარე**! – გაბრაზებულმა ყურმილი დაგვიკიდა. გმადლობთ ამისთვის, გულნაზ!

ეს, ზუსტად მისი პირიდან ამოსული სიტყვებია, მკითხველო, სკოლის მუშაკებმაც რომ დამიმოწმეს.

თავის „კედლებში“ კი როგორ მოიქცეოდა, კარგად გვაქვს წარმოდგენილი.

გულნაზ მასწავლებელო, მინდა მოზომილად შეგეკითხოთ: თუ აცნობიერებთ, ამ საქციელით 85 წლის მასწავლებელთა გაზეთს, ასევე სკოლის დირექციასა და თქვენს კოლეგებს როგორი შეურაცხყოფა მიაყენეთ? თუ კი აცნობიერებთ, სულ მცირე „პაწია ბოდიში“ მაინც გაქვთ მოსახდელი.

თუ ჯიუტად – ვერა, უპრიანი იქნება, ილიას გადაკეთებული სტრიქონები შეგახსენოთ: „უხეშობა და ამბიციები პედაგოგს მართლა არ ეკადრება, მაგრამ შოთამ თქვა: „რაც კოკაში დგა, იგივე თურმე წარმოსდინდება“.

მოსე მწერალი

რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№ 10 (4514)
10 ივნისი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113